



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1

ტელ: 27 00 01

N 399
09/06/2017

ბრძანება

399-09-4-201706090952



**დაბა ხულოში რუსთაველი ქ. №15-ში არსებული შენობის (მიწის ნაკვეთის
ს./კ.23.11.31.823.) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების
პირობების დამტკიცების შესახებ**

უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 23 მაისს დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება დაბა ხულოში რუსთაველის ქ. №15-ში მცხოვრებ ლიანა ცეცხლადის №5238/09 განცხადებაზე, რუსთაველის ქ. №15-ში მის საკუთრებაში არსებული შენობის (საცხოვრებელი სახლი. მიწის ნაკვეთის ს./კ.23.11.31.823.) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

მის მიერ წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლით და IX-ე თავით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობის პროცესში დაცული იქნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავის მოთხოვნები. გამოკვლეული იქნა ყველა ის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელი იყო ადმინისტრაციული აქტის მიღებისათვის და სხვა პირთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს ლიანა ცეცხლადის მოთხოვნა და დამტკიცდეს დაბა ხულოში რუსთაველი ქ. №15-ში მის საკუთრებაში არსებული შენობის (საცხოვრებელი. მიწის ნაკვეთის ს./კ.23.11.31.823.) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6-ე და მე-9-ე თავების, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების VIII-ე თავის 37-ე მუხლის და მე-IX-ე თავით და ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის არქიტექტურის, სივრცითი

მოწყობისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის ანზორ ცეცხლაძის 2017 წლის 02 ივნისის N1754-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვბრძანებ:

- 1) დამტკიცდეს დაბა ხულოში რუსთაველი ქ. №15-ში ლიანა ცეცხლაძის საკუთრებაში არსებული შენობის (საცხოვრებელი. მიწის ნაკვეთის ს./კ.23.11.31.823.) რეკონსტრუქციისათვის მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;
- 2) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ლაშა ბოლქვაძეს;
- 3) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურს (ა.ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების ასლ(ებ)ის გადაცემა;
- 4) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის N5)მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
- 5) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ბაუჩაძე



გამგებელი

ხელმძღვანელობა